ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N11

09.08.2022
09:30 საათი

ქალაქ თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
ბიუროს სხდომათა დარბაზი

მიმდინარე წლის 9 აგვისტოს, 09:30 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ორი კომისიის გაერთიანებული სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: **გიორგი ჩაკვეტაძე** (კომისიის თავმჯდომარე), **გივი ჩხარტიშვილი** (კომისიის წევრი), **ავთანდილ ცინცაძე** (კომისიის წევრი), **ვლადიმერ ბოჟაძე** (კომისიის წევრი) და **ნინო კვიტაიშვილი** (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი **ირაკლი თავართქილაძე,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი **ირაკლი გვილავა,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები და აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 5 (ხუთი) წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრის“ დაფუძნების თაობაზე თანხმობის მიღების შესახებ“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი *(საფუძველი: წერილი #12-032221693-03, 04.08.2022წ.),*
   მომხსენებელი - ირაკლი გვილავა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი).
2. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის“ (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ”** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი *(საფუძველი: წერილი #12-032221787-03, 05.08.2022წ.),*
   მომხსენებელი - ირაკლი გვილავა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი.

3. **„ქ. თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩა N89-ში მდებარე სპორტული მოედნის მიმდებარედ არსებული 1095 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.11.05.027.008) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი *(საფუძველი: წერილი #16-032221532-03, 03.08.2022წ.),* **მომხსენებელი - ირაკლი თავართქილაძე,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი.
4. **„ქ. თბილისში, დიღმის მასივში, III კვარტალში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ: 01.13.03.038.004) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი *(საფუძველი: წერილი #12-03222161-03, 04.08.2022წ.),*
   მომხსენებელი - ირაკლი თავართქილაძე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი.

სხდომა წარიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **განათლებისა და კულტურის** კომისიასთან ერთად.

გაერთიანებულ სხდომას უძღვებოდა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ჩაკვეტაძე.**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრის დაფუძნების თაობაზე ინფორმაცია კომისიას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსმა წარუდგინა.

ირაკლი გვილავა - მოგესალმებით, დიდ დიღომში, მიმდინარე პროექტის, მულტიფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრის სამშენებლო სამუშაოების დასრულების ეტაპიდან გამომდინარე, საჭირო გახდა თბილისის საკრებულოს თანხმობა, რათა დაფუძნდეს ორგანიზაცია, რომელიც იქნება აღნიშნული ცენტრის მმართველი რგოლი. დამუშავების პროცესშია მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრის საშტატო ნუსხა, უახლოეს პერიოდში შესაძლებელი იქნება სრული პრეზენტაციის წარმოდგენა, თუ რა სახის იქნება ცენტრის სტრუქტურა. მოგეხსენებათ, რომ ინფრასტრუქტურული ობიექტი შინაარსით მოიცავს სპორტის, სახელოვნებო, საგანმანათლებლო და ახალგაზრდულ მიმართულებებს, ასევე მის ფუნქციაში შედის ჯანსაღი ცხოვრებისთვის შესაბამისი გარემოს შექმნა. მსგავსი ტიპის და მასშტაბის ცენტრი თბილისში პირველად იქმნება, აღსანიშნავია რომ გარკვეული სირთულეები ახლდა ობიექტის მშენებლობას, პანდემიის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, მაგრამ ყველაფრის მიუხედავად პროცესი ნორმალურად წარიმართა და ცენტრი შემოდგომაზე გაიხსნება დიდი დიღმის ტერიტორიაზე, სკოლა ფესვების მიმდებარედ. ა(ა)იპ-ის მიზანი იქნება, რომ მართოს სხვადასხვა ფუნქციის და სივრცის მქონე ცენტრი, რომელსაც ძალიან ბევრი და საინტერესო პროგრამა ექნება.

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

აზრი გამოთქვეს:

ვლადიმერ ბოჟაძე - აღნიშნული ცენტრის სტრუქტურა მხოლოდ დიდი დიღმის ობიექტის მართვას შეითავსებს, თუ ვარკეთილის ობიექტიც მის შემადგენლობაში განიხილება.

ირაკლი გვილავა - ვინაიდან მსგავსი გამოცდილება არ გვაქვს, ასევე ცენტრებს განსხვავებული კომპანიების გარანტიები ექნებათ, სამსახურს მართებს დაკვირვება, თუ როგორ შეძლებს დიდი დიღმის ცენტრის მენეჯმენტი პროცესის მართვას და აღნიშნულის შემდეგ გადაწყდება შეითავსებენ, თუ გახდება ახალი ორგანიზაციის დაფუძნების საჭიროება, ამ დროისთვის მხოლოდ დიდი დიღმის ცენტრზეა საუბარი.

გიორგი ჩაკვეტაძე - წარმოდგენილი პროექტით, მიმდინარე პროცესის სამართავად საჭიროა ა(ა)იპ-ის რეგისტრაცია, რომელიც უზრუნველყოფს მულტიფუნქციური ცენტრის აღჭურვის და შიდა სივრცეების მოწყობის სამუშაოების ზედამხედველობას.

ირაკლი გვილავა - დიახ, ვინაიდან ბოლო ეტაპია, აქტიურად გვჭირდება ზედამხედველობის პროცესში ჩართვა, მიმდინარეობს გარე ინფრასტრუქტურის მოწყობა, საბურთალოს გამგეობა მიმდებარე ტერიტორიის და შიდა გზის მოწყობის სამუშაოებს აწარმოებს, თბილსერვისი სანიაღვრე და გარე განათების სისტემებს აწესრიგებს. ასევე გამოცხადებულია ცენტრის ინვენტარით და ავეჯით აღჭურვის ტენდერი, ყველა ეს პროცესი მიმდინარე წლის განმავლობაში, ეტაპობრივად უნდა დასრულდეს.

ნინო კვიტაიშვილი - პროექტში აღნიშნულია, რომ მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრის დაფუძნების პროცესი არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას, ცენტრის დაფუძნების ეს ეტაპი არ იწვევს კონკრეტულად ხარჯების გამოყოფას, თუ რა იგულისხმება?

ირაკლი გვილავა - მოგეხსენებათ, რომ მუნიციპალურ ცენტრებს გააჩნიათ ფასიანი სერვისები, რაც არის ძირითადი წყარო, კომუნალური ხარჯების და ხელფასების ასანაზღაურებლად. არსებული ბიუჯეტის ფარგლებში რა თანხებიც გვაქვს ა(ა)იპ-ების ხელშეწყობის პროგრამის მიმართულებით, ის თანხები მოხმარდება ცენტრის მენეჯმენტს, სახელფასო კუთხით, ვიდრე თავად არ დაიწყებს ფასიანი სერვისების ამოქმედებას. ვფიქრობ საშტატო ნუსხა იქნება იმდენად ოპტიმალური, რომ ცენტრიდან მიღებული შემოსავალი არ მოითხოვს დამატებითი სახსრების გამოყოფას და დააბალანსებს გასავალს.

ავთანდილ ცინცაძე - მინდა მადლობა გადავუხადო მერიას და ყველა თანამშრომელს, ვინც ჩართული იყო აღნიშნულ პროექტის განხორციელებაში. მსგავსი ინფრასტრუქტურა დიდ დიღომში არ არსებობდა, ახლა კი შესაძლებელია ყველა თაობა დაკავდეს სხვადასხვა აქტივობებით, ცენტრის ირგვლივ არის საინტერესო და მნიშვნელოვანი გარემო, სკვერი, სკოლა, საბავშვო ბაღი, საფეხბურთო მოედანი და ყველა საჭირო ინფრასტრუქტურა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრის“ დაფუძნების თაობაზე თანხმობის მიღების შესახებ“ საკითხი

მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, გივი ჩხარტიშვილი, ავთანდილ ცინცაძე, ვლადიმერ ბოჟაძე, ნინო კვიტაიშვილი - (5),

წინააღმდეგი - (0),

თავი შეიკავა - (0).

ქალაქ თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრის“ დაფუძნების თაობაზე თანხმობის მიღების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი, ქვეპროგრამის სპორტი უფროსი თაობისთვის ფარგლებში, საცურაო აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესის შესახებ დადგენილების პროექტი კომისიას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსმა წარუდგინა.

ირაკლი გვილავა - პროგრამის მიზანია ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობა 60 და 60 წელს გადაცილებული ადამიანებისთვის, რაც მეტი რესურსის მობილიზება მოხდება ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობის მიმართულებით, ნაკლები რესურსის გამოყოფა გახდება საჭირო ჯანდაცვის კუთხით, გარდა ამისა ევროპული ქვეყნების დიდი გამოცდილების გაზიარება გახლავთ აღნიშნული მიმართულებით. პროგრამა პირველ ეტაპზე საპილოტეა და მოიცავს ერთი მუნიციპალური ცენტრის ბაზას ფიტნესით და აუზით სარგებლობის შესაძლებლობას. აღნიშნული მიმართულებით გვექნება სოციალური კამპანია, რადგან პოპულარული არაა მოცემულ ასაკობრივ ჯგუფში ფიზიკური აქტივობა. პირველ რიგში 300 ადამიანზეა ორიენტირებული და ლოკალურად გლდანი-ნაძალადევის რაიონზე. საპილოტე პროგრამის შემდეგ მოხდება შედეგების ანალიზი, ელექტრონული განაცხადის ფორმის შემუშავება და სხვა ყველა საჭირო ელემენტის ამოქმედება. მომავალში შესაძლებელია კერძო სექტორის ჩართულობაც მოხდეს, აღნიშნული ხელს შეუწყობს სპორტული ცენტრების დატვირთვასაც. მოხდა დროის დამუშავება იმ ფაქტორის გათვალისწინებით, სადაც ყველაზე ნაკლები იყო დატვირთვა, ეს მოიცავს 11-დან 14-საათამდე შუალედს. პროგრამის ამოქმედება იგეგმება შემოდგომიდან, რის შემდგომაც პერიოდულად გაგაცნობთ შედეგებს და პროცესის მიმდინარეობაში გამოვლენილ ნიუანსებს.

აზრი გამოთქვეს:

ნინო კვიტაიშვილი - ტერიტორიულად რომელი ცენტრიდან იწყება საპილოტე პროგრამა და რატომაა სამუშაო საათებში, ვფიქრობთ რომ დიდი მოთხოვნა იქნება.

ირაკლი გვილავა - ზღვის უბანში, გლდანი-ნაძალადევის სპორტული ცენტრით იწყება საპილოტე პროგრამა, ერთ-ერთი საუკეთესო და ახალი სპორტული ცენტრია. პროგრამა მოიცავს იმ ადამიანების სოციალიზაციის ელემენტს ვინც არაა დასაქმებული და სახლშია, ვთქვათ დიასახლისი ან სხვა. დასაქმებული პირებისთვის გვაქვს ძალიან დაბალი საათობრივი ტარიფები. ვისაც არ აქვს ფინანსური შესაძლებლობა და აქვს თავისუფალი დრო ისეთ ადამიანებზეა გათვლილი. საჭიროა მათი საზოგადოებაში აქტიურად ჩართვის ხელშემწყობი მექანიზმების ამოქმედება. 2022 წლის პერიოდში საპილოტე პროგრამაში გამოვლინდება ყველა ხარვეზი, თუ ნიუანსი და შემდეგი წლიდან მეტად დამუშავებულ წესს მივიღებთ.

გიორგი ჩაკვეტაძე - ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი პროგრამაა სპორტი უფროსი თაობისთვის, რამდენიმე კვირის წინ ბიუჯეტს დაემატა ახალი ქვეპროგრამა, აღნიშნულიდან გამომდინარე ველოდებოდით წესის დამუშავებას და პროექტის წარმოდგენას დასამტკიცებლად. ვფიქრობთ, რომ დიდი დაინტერესება ექნება, ევროპული მოდელია და მნიშვნელოვანია პროგრამი ბევრმა ადამიანმა ისარგებლოს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის" (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ" საკითხი

მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, გივი ჩხარტიშვილი, ავთანდილ ცინცაძე, ვლადიმერ ბოჟაძე, ნინო კვიტაიშვილი - (5),

წინააღმდეგი - (0),

თავი შეიკავა - (0).

ქალაქ თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა:

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის" (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხი, უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით რაგბის კავშირისთვის გადაცემის შესახებ კომისიას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა წარუდგინა.

ირაკლი თავართქილაძე - მოგესალმებით, წარმოგიდგენთ რაგბის კავშირისთვის გადასაცემი უძრავი ქონების საკითხს. აღნიშნული მიწის ნაკვეთი პირდაპირი განკარგვის წესით, აღნაგობის უფლებით უკვე გადაცემულია რაგბის კავშირისთვის 2059 წლამდე, რომელიც გახლავთ

სპორტული მოედნის ნაწილი. რაგბის კავშირი ტერიტორიის საკადასტრო კოდის გაერთიანების და ოპტიმიზაციის მიზნით ითხოვს მის საკუთრებაში გადაცემას. ხელშეკრულებაში, რაიმე სახით ვალდებულების მუხლის ასახვა არ გახდა საჭირო, რადგან სტადიონი ყველა სხვა საჭირო სპორტული ინფრასტრუქტურით მოწყობილია და მხოლოდ მოედნის შემადგენლობაში არსებულ მეხუთედ ნაწილს ვაძლევთ აღნიშნული პროექტით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

,,ქ. თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩა N89-ში მდებარე სპორტული მოედნის მიმდებარედ არსებული 1095 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.11.05.027.008) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი

მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, გივი ჩხარტიშვილი, ავთანდილ ცინცაძე, ვლადიმერ ბოჟაძე, ნინო კვიტაიშვილი - (5),

წინააღმდეგი - (0),

თავი შეიკავა - (0).

ქალაქ თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა:

,,ქ. თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩა N89-ში მდებარე სპორტული მოედნის მიმდებარედ არსებული 1095 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.11.05.027.008) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხი, დიღმის მასივში მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის გადაცემის შესახებ კომისიას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა წარუდგინა.

ირაკლი თავართქილაძე - სამწუხაროდ, აღნიშნული ობიექტი 2007 წელს გასხვისდა, მხოლოდ 10 წლით სპორტული ფუნქციის შენარჩუნების პირობით. 2018 წლიდან ვმუშაობთ მესაკუთრესთან ქონების გადმოცემის საკითხზე, საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს ჩართულობით და ჩვენი ძალისხმევით შესაძლებელი გახდა ქონების უკან წამოღება. რაც იმას ნიშნავს, რომ სპორტული ინფრასტრუქტურა მუდმივად შენარჩუნდება ამ ტერიტორიაზე, ,,ავაზას" საფეხბურთო სკოლას აქვს ძალიან დიდი ისტორია, იქ აღიზარდა არაერთი თაობა ქართული ფეხბურთის და სამომავლოდაც აღიზრდება. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას გადაეცემა ქონება, რომელიც სრულად უზრუნველყოფს თანამედროვე ტიპის საფეხბურთო ბაზის და ყველა საჭირო სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობას.

აზრი გამოთქვეს:

გივი ჩხარტიშვილი - ქალაქისთვის და დიღმის მასივისთვის აღნიშნული ტერიტორია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. დიდი მადლობა ყველა იმ ადამიანს, ვინც ჩართული იყო საკითხის მოგვარებაში და სპორტული ინფრასტრუქტურა შეუნარჩუნა თბილისს.

ნინო კვიტაიშვილი - საინტერესოა, ფეხბურთის ფედერაციას ქონების ფინანსურად გამოსყიდვის შესაძლებლობა თუ ჰქონდა?

ირაკლი თავართქილაძე - ამ შემთხვევაში შევთანხმდით, რომ მუნიციპალიტეტი დაიბრუნებდა ქონებას, ხოლო ფედერაცია მოაწყობდა შესაბამის ინფრასტრუქტურას და განახორციელებს საჭირო ინვესტიციას, მოხდა საჭირო ვალდებულების გადანაწილება.

გიორგი ჩაკვეტაძე - ფეხბურთის ფედერაციასთან თანამშრომლობის არაერთი მაგალითი გვაქვს, ისინი უეფას სტანდარტების შესაბამისად ახორციელებენ სამშენებლო სამუშაოებს და ქმნიან მაღალი ხარისხის სპორტულ ინფრასტრუქტურას, როგორც საკუთარი, ასევე სხვადასხვა პროგრამით მოზიდული გრანტებით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

,,ქ. თბილისში, დიღმის მასივში, III კვარტალში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ: 01.13.03.038.004) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი

მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, გივი ჩხარტიშვილი, ავთანდილ ცინცაძე, ვლადიმერ ბოჟაძე - (4),

წინააღმდეგი - (0),

თავი შეიკავა - ნინო კვიტაიშვილი (1).

ქალაქ თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტა:

,,ქ. თბილისში, დიღმის მასივში, III კვარტალში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ: 01.13.03.038.004) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი ჩაკვეტაძე